შეთანხმება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“–ს შორის 2014 წლის 27 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №22 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

ქ. ზუგდიდი *12 აგვისტო, 2014 წელი*

ერთის მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, ***სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“*** (შემდგომში – „მიმწოდებელი“) მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, თავმჯდომარის გიორგი პატარიძის სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“–ს შესახებ და „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულების საფუძველზე, „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №363 დადგენილების შესაბამისად, ზუგდიდის ახალი მუნიციპალიტეტისთვის გაუქმებული მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების გადანაწილებასთან დაკავშირებით, უფლებამონაცვლე ახალი მუნიციპალიტეტის დასახელების, ხელმოწერეზე უფლებამოსილი პირის, საგადასახადო და საბანკო რეკვიზიტების გათვალისწინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ -ს შორის 2014 წლის 27 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №22 ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება“) შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

ა) შეიცვალოს ხელშეკრულების პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

- ერთის მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, ***სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“*** (შემდგომში – „მიმწოდებელი“) მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, თავმჯდომარის გიორგი პატარიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე.

ბ) მხარეთა შეთანხმებით სახელშეკრულებო ღირებულება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის უფლებომოსილების შეწყვეტის დღიდან ახალი ხელშეკრულების დადების პერიოდამდე – *(2014 წლის 14 ივლისიდან 12 აგვისტოს ჩათვლით)* განისაზღვროს ***2150 (ათასოთხასსამოცი)*** ლარის ოდენობით.

გ) შეიცვალოს ხელშეკრულების მე-16 მუხლის 16.1 პუნქტში მოცემული ინსპექტირების ჯგუფის წევრთა შემადგენლობა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

– *პუნქტი 16.1* – „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურეობის ინსპექტირება. ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი უწყების უფლებამოსილი პირ(ებ)ი: – გიგა ფარულავა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი; – გიორგი გოგია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი, რომელ(ებ)იც არ იმყოფებიან „მიმწოდებელთან“ ინტერესთა კონფლიქტში.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან,“ ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს.“
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	*სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*
იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90	მისამართი: ქ. თბილისი, აბაშიძის ქ. №68
საინდენტიფიკაციო კოდი: **220416967**	საიდენტიფიკაციო კოდი: **203862622**
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“	საბანკო რეკვიზიტები: სს „პრივატბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: CAVOGE22
ანგარიშის ნომერი: GE13LB0120111405438000	ანგარიშის ნომერ: GE26TP0034020020000306
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი:	*სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ -ს თავმჯდომარე:*
..... /ე. თოლორაია/	..... /გ. პატარიძე/